საიდ. N74227/03

IR 1175936

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №194-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ა. დალაქიშვილი, ქ. კილაძე, ლ. ახობაძის მდივნობით, განიხილა კომპანიის ,,ბარიკალ მენეჯმენტ ლტდ" (BARICALL MANAGEMENT LTD) (მის.: არხ. მაკარიოუ III, 155 პროტეას ჰაუზი, 5თ, CY-3026 ლიმასოლი, კვიპროსი; Arch. Makariou III, 155 Proteas House, 5th Floor, CY-3026 MASSOL) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №194-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის პირველი ოქტომბრის N2552/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც

საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-7, მე-9, მე-11 და მე-14 კლასების საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და კომბინირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის ,,SUPRA“ (საიდ. N74227/03, IR 1175936) დაცვის მინიჭება საქართველოში მე-7, მე-9, მე-11 და მე-14 კლასების საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის პირველი ოქტომბრის N2552/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი ნიშანი „SUPRA" მსგავსია კომპანიის ,,სუპრა კორპორეიშენ ოფ ჯაპან“ (SUPRA CORPORATION OF JAPAN) სახელზე მე-7, მე-9, მე-11 და მე-14 კლასების საქონლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული ნიშნისა ,,SUPRA" (რეგ. N10053, რეგ. თარიღი: 09/07/1998წ.). წარმოდგენილი ნიშანი კომბინირებულია, წარმოადგენს წითელ წრეში მოთავსებულ სიტყვიერ ნაწილს, დაპირისპირებული ნიშანი კი სიტყვიერია, მაგრამ ორივე ნიშნის სიტყვიერი ნაწილები იდენტურია, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღრევამდე მსგავსია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი საქონლის ჩამონათვალის ნაწილი და რეგისტრირებული ჩამონათვლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე განცხადებული საქონლის ნაწილის, კერძოდ, მე-7, მე-9, მე-11 და მე-14 კლასების საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტის წარმომადგენელი, არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და განმარტავს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები მიუხედავად

მათი ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსებისა, მკვეთრად განსხვავდებიან გრაფიკულად.

გრაფიკული თვალსაზრისით, განცხადებული ნიშანი კომბინირებულია და წარმოადგენს მკაფიო წითელ წრეზე დიამეტრალურად განთავსებულ აღნიშვნას ,,SUPRA“, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს ხუთი სტანდარტული ლათინური ასოთი შესრულებულ აღნიშვნას ,,SUPRA“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები ვიზუალურად სრულიად განსხვავებულია. მომხმარებლისათვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელია გამოსახულებითი ფერადი ელემენტი, შესაბამისად, ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსი და გამორიცხულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებელი კომპანიის მიმართ.

აპელანტი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნებით მონიშნული საქონლის კუთვნილებისა, საერთაშორისო კლასიფიკატორის ერთსა და იმავე კლასების მიმართ, მათში გაერთიანებული საქონელი განსხვავდება და ექსპერტიზის ჩატარებისას სასურველი იყო ამ განსხვავების მხედველობაში მიღება. მაგალითად, განცხადებული ნიშნის მე-7, მე-9 და მე-11 კლასების საქონლის ჩამონათვალი ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე დაპირისპირებული ნიშნის იმავე კლასების ჩამონათვალი, ასევე, უგულვებელყოფილია განცხადებული ნიშნის მე-14 კლასში საიუველირო და ლითონების ნაწარმი, მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშნის იმავე კლასში შეტანილია მხოლოდ ქრონოლოგიური ხელსაწყოები.

გარდა ამისა, აპელანტი აღნიშნავს, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანია ,,სუპრა კორპორეიშენ ოფ ჯაპან“ არ იყენებს მის სახელზე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს. აღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი გეგმავს, მიმართოს სასამართლოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი ,,სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და

მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის პირველი ოქტომბრის N2552/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-7, მე-9, მე-11 და მე-14 კლასების საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და კომბინირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SUPRA“ (საიდ. N74227/03, IR 1175936) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-7, მე-9, მე-11 და მე-14 კლასების საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №194-03/14) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ ,,მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო ნიშანი ,,SUPRA“ (საიდ. N74227/03, IR 1175936) და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,SUPRA" (რეგ. N10053) აღრევამდე მსგავსია. სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით, შედგება ხუთი იდენტური ასოსგან და იკითხება როგორც ,,SUPRA“, იმ განსხვავებით, რომ განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს დამატებით ახლავს გამოსახულებითი ელემენტი, კერძოდ მუქი შინდისფერი წრე და სასაქონლო ნიშნის

სიტყვიერი ნაწილი ამ წრეშია მოთავსებული, რაც არ სძენს სასაქონლო ნიშანს საკმარის განმასხვავებლობას. შესაბამისად, არსებობს სასაქონლო ნიშნების აღრევისა, და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნები იდენტურია ფონეტიკურად, ვინაიდან ქართველი მომხმარებლის მიერ ორივე ნიშანი გამოითქმის როგორც - ,,სუპრა".

რაც შეეხება დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების სემანტიკურ მნიშვნელობას, ,,ABBYY Lingvo 12" მოცემული განმარტებით, ის ნიშნავს ,,წინარე"-ს, ,,ზემოაღნიშნულს", შესაბამისად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები იდენტურია სემანტიკური თვალსაზრისითაც.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი განსხვავდება და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის მე-7, მე-9, მე-11 და მე-14 კლასების საქონლის ჩამონათვალი, მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მე-7, მე-9, მე-11 და მე-14 კლასების საქონლის ჩამონათვალისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და სასაქონლო ნიშანს ,,SUPRA" (საიდ. N74227/03, IR 1175936) არ უნდა მიენიჭოს დაცვა 7, მე-9, მე-11 და მე-14 კლასების საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით

და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,ბარიკალ მენეჯმენტ ლტდ“ (BARICALL MANAGEMENT LTD) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N194-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის პირველი ოქტომბრის N2552/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ა. დალაქიშვილი

ქ. კილაძე